ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5744416

ნომერი: AR1859302

თარიღი : 29.10.2021

გაცემის თარიღი : 27.12.2021

გაცნობის თარიღი : 11.02.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067); ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6; ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6; ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 408
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.09.2021

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მარიამ პაპუკაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ვაკო+ზუკა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 431948048

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ვაკო+ზუკა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 431948048
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვალერი ჩიტიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 21001024450

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 11786.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 4171.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 41770.0
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 31330.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 10440.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 148940.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 138490.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 10450.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 131.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 125.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4170
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 41770
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5185

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. რუკაზე ნაცვლად ამჟამად მონიშნული საკადასტრო ერთეულებისა მოინიშნოს განახლებული, გერთიანებული საკადასტრო ერთეული (ს/კ 01.14.06.008.364), აღნიშნულის განსახორციელებლად გერთვებათ რუკაზე ცვლილების ღილაკი.

2. საჭიროა საპრეოქტო ტერიტორიაზე შეთანხმებული გრგ-ს შესაბამისად დატანილ იქნას სერვიტუტი. აღნიშნულისათვის საჭიროა მიმართთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3. დამკვეთის ველში ორგანიზაციის გრაფაში მიეთითოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს „შპს თიბიეს პალასი“ და სადენტიფიკაციო კოდი.

4. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.:

• წარმოდგენილი იქნას ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) დამოწმებული შესაბამისი წესით, დასკანერებული სახით.

• წარმოდგენილი იქნას სრულყოფილად დამუშვებული გენ. გეგმა - გენ.გეგმაზე დაიტანეთ ღერძები; დაიტანეთ გაბარიტული და ღერძულა ზომები ; გენ.გეგმაზე დაიტანეთ გადახურვის შესაბამისი ნიშნულები; დატანილ იქნას შენობამდე მისასვლელი თავისუფალი სვლა გეზი, სტანდარტების შესაბამისად.

• შენობის კუთხეებში დატანილ იქნას აბსოლუტური ჰორიზონტალური (კანონმდებლობით განსაზღვრულ კოორდინატთა სისტემაში) და ვერტიკალური ნიშნულები.

6. შესაბამის ველში წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა.

7. შესაბამის ველში წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილების გეგმა.

8. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილი იქნას განახლებული, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფტოსურათები, თარიღის დატანით.

9. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). ->
კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში):
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში):
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში):
ველებში დაფსიქისრდეს საანგარიშო ფართობების შესაბამისად კოეფიცეინტები.

10. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:

• გეგმები სრულყოფილად დამუშვდეს 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებისა და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ გადამოწმდება სრული საპროექტო დოკუმენტაცია.

• გეგმებს თან დაერთოს 41-ე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზის ცხრილები. ასევე ყველა საჭირო კვნაძის დეტალური ნახაზები.

• წარმოდგენილი იქნას კავლფიციურად შესრულებული გეგმების ნახაზები, გეგმებზე გარკვევით იქნას დატანილი პარკირებებზე შესასვლელები.

• ყველა გეგმაზე სრუალდ ჩაიხაზოს ავეჯი.

• ყველა გეგმაზე დატანილ იქნას შენობის საკადასტრო საზღვრებთან მიბმის ზომები.

• ავტოსადგომობის პანდუსებზე დატანილ იქნას გარდატეხის ადგილებზე ნიშნულები.

11. შენობა-ნაგებობის ჭრილები, მასშტაბი 1:100. -> .ჭრილების pdf ფაილი.:

• პირველი და მეორე სართლი წარმოდგენილი სიმაღლით არ არის მისაღები, საჭიროა სიმაღლე შემცირდეს 4,5 მეტრამდე.

• გზა კიბეები მოივდეს შესაბამისობაში „მისაწვდომობის ერვონულის ტანდარტების“ ტექნიკური რეგლამენტის 504-ე ქვეთავთან

12. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:

• დაინტაეთ გრუნტის ზედაპირის გადაკვეთის დონეების ნულოვან ნიშნულთან მიმართებაში ჩვენებით. შენიშვნა: შენობა-ნაგებობის ფასადის ნახაზზე უნდა აისახოს ფასადზე განთავსებული ყველა ღიობისა და არქიტექტურული დეტალის ზომები.

• წარმოადგინეთ ფასადების დეტალური პროექტი, რომელიც უნდა მოიცავდეს გარე კედლების საფარის, ღიობების, გარე ფანჯრისა და კარების, არქიტექტურული გაფორმების, აივნებისა და მსგავსი ნაშვერების ნახაზებს (ცალკეული კვანძების დეტალური ნახაზებს).

- წარმოდგენილ იქნას არქიტექტურული ელემენტების (კარ-ფანჯრები, ჟალუზები და სხვ.), დეტალების (გაფორმების ელემენტები, ნაკეთობები და ა.შ.) და სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;

13. საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
ვექტორულ ფაილში წარმოდგენილი იქნას შენობაში ფუქნციების გადანაწილების ფართობების კროკები, შესაბამისი ანგარიშითა და პროცენტულობის დატანით. აღნიშნულისა და სხვა ხარვეზების შესაბამისად დაკორექტირდეს ვექტორული ფაილი.

14. საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით -> სქემის pdf ფაილი:
წარმოდგენილი იქნას სსიპ ქ.თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თნხომების წერილები საგზაო მოძრაობის სქემებთან დაკავშირებით, ასევე წარმოდგენილი იქნას სსიპ ქ. თბილისი ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა შესასვლელი გზის მოწყობასთან დაკავშირებით.

15. მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების სრულყოფილი პროექტი:
გაცნობებთ, რომ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, მშენებლობის ორგანიზების პროექტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) განმარტებით ბარათს, შემდეგი ინფორმაციით:
- ბ.ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა;
- ბ.ბ) მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის აღწერა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად.
- ბ.გ) არსებობის შემთხვევაში, დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, რაც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს;
- ბ.დ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.
- გ) სამშენებლო მოედნის გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით);
- დ) მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკს, მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის მიხედვით: IV კლასის მშენებლობისას – მინიმუმ 10 ეტაპი.

მშენებლობის ორგანიზების პროექტში და გრაფიკში გათვალისწინებული იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მე-18 და მე-20 მუხლები.
გაითვლაისწინეთ, რომ მშენებლობის ორგანიზების პროექტი უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დეომნტაჟი საჭიროა ამავე განცხადებაზე წარმოდგენილი იქნას სრულყოფილად მომზადებული დემონტაჟის ორგანიზების პროექტი.
დემონტაჟის ორგანიზების პრეოქტს თან უნდა ახლდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის საექსპერტო შეფასება (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

სადემონტაჟო სამუშაოები საჭიროა გაიწეროს პირველი რიგის მოსამზადებელი სამუშაოების ეტაპად.

16. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საჭიროა გადახდილ იქნას კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის გაოთხმაგებული ოდნება.

17. შესაბამის ველში წარმოადგინეთ საექსპერტო შეფასება არქიტექტურული პროექტების „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან შესაბამისობის თაობაზე.
ასევე წარმოდგენილი იქნას არქიტექტურული პროექტის „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის საქსპერტო შეფასება.
საექსპერტო შეფასებებს თან უნდა ახლდეს ექსპერტის კვალიფიკაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

18. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელგაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა-ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

19. წარმოადგინეთ მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში, რომელიც მოიცავს:
ა) მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის ფიქსაციას და მათზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესაძლო ზემოქმედების ხარისხს;
ბ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომიჯნავე შენობა-ნაგებობების არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც ასევე აისახება მშენებლობის ორგანიზების პროექტში. დასკვნა უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები;
იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები; გაითვალისწინეთ იმ შემთხვევაში თუ გამაგრება შეეხება მომიჯნავე შენობებს საჭიროა დამატებით ატვირთულ იქნას მათი მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებზე;
გაცნობებთ, რომ აღნიშნული კვლევის ჩატარება სავალდებულოა, თუ შენობა-ნაგებობის მშენებლობა დაგეგმილია ჩამოყალიბებული განაშენიანებით შეზღუდულ პირობებში (ახალი მშენებლობისა და მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია), ხოლო IV კლასის შენობა- ნაგებობის შემთხვევაში – 20 მეტრის რადიუსში, ასევე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისას, რათა გამოირიცხოს დაგეგმილი მშენებლობით მიწის ნაკვეთის მომიჯნავე შენობა ნაგებობების კონსტრუქციების დეფორმაცია და დაზიანება

აღნიშნულ კვლევაში განხილული იქნას ტერიტორიაზე არსებული შენობების დემონტაჟის ზეგავლანა მომიჯნავე შენობა-ნაგებობებზე.

20. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს:
ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.

საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოსადგენია თანდართული საექსპერტო შეფასებით. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

21. წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული პროექტი.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული სქემა შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილისაგან, სადაც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გაბარიტული ზომები; საძირკვლის, გადახურვის და ვერტიკალური ელემენტების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები) ტიპი; შენობა-ნაგებობის სიმტკიცეზე, მდგრადობაზე და დეფორმაციაზე გაანგარიშების საწყისი მონაცემები (მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, სიხისტეები, სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები), სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი), რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამისი და ამავე კონსტრუქციულ სქემაში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის/რეგლამენტების მოთხოვნებს. ხოლო, კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს კონსტრუქციული სქემით გათვალისწინებულ ყველა ინფორმაციას დაზუსტებული, დაკონკრეტებული სახით და

იძლეოდეს მშენებლობის განხორციელებისთვის ამომწურავ ინფორმაციას.

კონსტრუქციული პროექტი დამატებით უნდა მოიცავდეს:
ა) ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით);
ბ) ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს;
გ) კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას.

კონსტრუქციული სქემა/პროექტის ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოსადგენია თანდართული საექსპერტო შეფასებით. ასევე, წარმოადგინეთ ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

22. საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი (გამწვანების პროექტი - სამშენებლო ტერიტორიაზე დაგეგმილი გამწვანების სივრცის მოწყობის პროექტი, რომელიც შესაძლოა ითვალისწინებდეს ადგილზე არსებული მწვანე ნარგავების გადარგვას ან/და საკომპენსაციო რგვას, კანონმდებლობით დადგენილი წესით), რომელიც სხვა მონაცემებთან ერთად აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- კ-3 კოეფიციენტის ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათება – ხნოვანება, სიმაღლე);
- გამწვანების პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას;

23. შესაბამის ველში წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 ქვეპუნქტის შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;
გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;
ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

24. გათვალისიწნებულ იქნას სსიპ ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 17/11/2021 წლის N: 16-01213212207 წერილი და წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დოკუმენტაცია.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.